

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

5.495

3.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების სამეცნიერო სესია

1941 წლის 18 და 20 ოქტომბერი

მუშაობის გეგმა

და

მოხსენებათა თეზისები



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1941

Тбилиси

061/47922

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო-
ებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სამსახურის
გეგმის განხილვის აქტი

1941 წლის 18 და 20 ოქტომბერი

მოხსენებები

18 ოქტომბერი, დღის 11 ს.

1. შედარებითი ენათმეცნიერება და გერმანელთა „წინარესამ-
შობლოს“ საკითხი (ლინგვისტური პალეონტოლოგიის ის-
ტორიიდან).
(მომხ. აკად. გ. ახვლედიანი).
2. -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში.
(მომხს. ქ. ლომთათიძე, ენის ინსტიტუტის უფრ.
მეცნ. თანამშრომელი).
3. მორფოლოგიური შეხვედრები უღური ენისა ქართულთან
(resp. ქართველურ ენებთან).
(მომხს. ვლ. ფანჩვიძე, ენის ინსტიტუტის უფრ. მეცნ.
თანამშრომელი).


18 ოქტომბერი, ხალაშის 8 ს.

4. ხუნძური ერგატივის ისტორია (სხვა კავკასიურ და, კერძოდ,
ქართველურ ენებთან ურთიერთობის ასპექტში).
(მომხს. აკად. არნ. ჩიქობავა).
5. ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული
პარალელები.
(მომხს. პროფ. ვ. თოფურია).
6. ი ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში.
(მომხს. გ. როგავა, ენის ინსტ. უფრ. მეცნ. თანამშრო-
მელი).

20 ოქტომბერი, დღის 11 ს.

7. К вопросу о культурных связях Грузии и Ингу-
шетии.
(მომხს. აკად. გ. ჩუბინაშვილი).

ბიუსის სხდომები იწარმოებს საჩ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სხდომების დარბაზში (ძირაინსკის ქ. № 8).



F.S. 495
3

8. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии.

(მომხს. პროფ. ბ. კუფტინი, საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილების კონსულტანტი-არქეოლოგი).

9. ძველ-ანაგის და ყოლოთის კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის.

(მომხს. ს. მენტეშაშვილი, საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე).

20 ოქტომბერი, საღამო 8 ს.

10. აღმოსავლეთის რენესანსი და ფაშისტური მეცნიერება-
(მომხს. პროფ. შ. ნუცუბიძე).

11. საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე
აკად. გ. ახვლედიანი

ბ. ახვლედიანი

შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება და
გამანელთა „წინაგმაროგლო“-ს საკითხი

(ლინგვისტური პალეონტოლოგიის ისტორიიდან)

1. შედარებითი ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში იმთავითვე თჩინა თავი—ენობრივ და ეთნიურ ურთიერთობათა გაიგივებასთან ერთად—ევროპისა და მეტადრე გერმანელ მეცნიერთა შორის დიდ-მპყრობელურმა ტენდენციურობამ, რამაც შემდეგში აწნო თვით შედარებითი ენათმეცნიერების რეპუტაციას.

2. ინდოევროპული ენები და „ინდოევროპული ხალხები“ არაა ურთიერთ შესატყვისი ცნებები: პირველი არ გულისხმობს მეორეს: „არის ინდოევროპული ენები, მაგრამ არაა ინდოევროპული ხალხები“.

3. ლინგვისტური პალეონტოლოგიის განვითარებაში განსხვავებულია „მეცნიერებამდელი“ და მეცნიერული პერიოდები:

„მეცნიერებამდელი“ ლინგვისტური პალეონტოლოგიის ფესვები ჩანს შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე: კერძოდ, „ინდოევროპელთა წინარესამშობლოს“ საკითხი დასმული იყო მანამდე.

4. ევროპის ინდოევროპულ ენათა ლექსიკური შეხვედრების კულტურულ-ისტორიული სისტემატიზაციის ცდები მოცემულია უკვე რაზმუს რასკის მიერ (Rasmus Rask, 1787—1832).

5. კულტურულ-ისტორიული საკითხების შედარებითი ენათმეცნიერების გზით საფუძვლიანი კვლევა-ძიების ერთ-ერთი დამწყებთაგანია ადალბერტ კუნ (Adalb. Kuhn, 1812—1881).

6. მეცნიერული ლინგვისტური პალეონტოლოგიის ნამდვილი ფუძემდებელია ვიქტორ ჰენი (Viktor Hehn, 1813—1890) და არა ადოფლ პიქტე (Ad. Pictet, 1799—1875).

7. ლინგვისტური პალეონტოლოგიის ჩამოყალიბებას მეცნიერულ დისციპლინად ხელი შეუწყო უმთავრესად ისტორიული სემასოლოგიის განვითარებამ.

8. „ინდოევროპელთა წინარესამშობლოს“ ადგილმდებარეობის შესახებ თეორიებში ყველაზე დასაბუთებულია ო. შრადერის (Otto Schrader, 1855—1919) თეორია, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მონოლითურ „ინდოევროპელთა“ ეთნოსს.

9. „ინდოგერმანელთა“ (ინდოევროპელთა) და გერმანელთა იდენტობის თეორია წარმოდგენს პანგერმანისტებისა და ფაშისტების მიერ მეცნიერების გაყალბებას.

ამდენადვე ცრუ-მეცნიერულია „თეორია“ გერმანელთა ნორდული „წინარესამშობლოს“ შესახებ.

ძ. ლოგოთიკა

„ქ“ სუფიქსისათვის მებრუნს ზმნებში

1. მებრული ზმნები აწმყო დროის I-სა და II პირში მხოლოდობითს რიცხვში იყენებენ -ქ სუფიქსს:

ვორე-ქ	ვპარუნ-ქ
ორე-ქ	პარუნ-ქ
ორე (ნ)	პარუნს
ვორეთ	ვპარუნთ
ორეთ	პარუნთ
ორენა(ნ)	პარუნა(ნ) და სხვ.

ამ სუფიქსის გამოყენების თვალსაზრისით ქართული და მებრული თითქოს შორდებიან ერთმანეთს.

2. -ქ სუფიქსს მებრულში იყენებს ყველა ზმნა, ოღონდ გარდუვალ ზმნებში იგი მუდამაა დაცული, ხოლო გარდამავალ ზმნებში შეიძლება აწმყოს თემისეული ნ-სთან ერთად ქ-ც ჩამოშორდეს და გვექნეს, როგორც ვპარუნქ, ისე ვპარუნ.

3. ქანურში მებრული-ქ-ს ფუნქციონალურ შესატყვისად უნდა გვევლინებოდეს -რ სუფიქსი. -რ სუფიქსი ქანურში უფრო შეზღუდულად არის წარმოდგენილი: იგი გვხვდება მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებთან და ისიც არა ყველასთან.

4. ამ აფიქსის თავდაპირველი ფუნქცია არც ქანურშია მთლიანად უცვლელად დაცული, ოღონდ მისი აქ უფრო შეზღუდულად ხმარება შედარებით მეტ სიახლოვეს უნდა აჩენდეს პირვანდელ

ფუნქციასთან. მებრულში კი მისი მნიშვნელობა აღრიდანვე დაჩრდილულა და იგი გავრცელებულია ყველა ზმნაში.

5. ხსენებული აფიქსები იმავე ფუნქციისა უნდა ყოფილიყვნენ, რისაც მეშველი ზმნა სტატიკურ ზმნებთან (resp. სტატიკურ ფორმებთან) აფხაზურსა და ყაბარდოულში.

მაგ.: აფხაზური: ს-ჭოჯ'-უჰ	} მე კაცი ვარ
ყაბარდოული: ს-ჯ'უჰჰ-ს	
აფხაზური: სუ-გ'ლა-უჰ	} მე ვდგავარ
ყაბარდოული: ს-ს'უტ-ს	

ამ ნიადაგზე სრულიად ნათელი ხდება რატომ ახასიათებს ისინი მებრულსა და ქანურში მხოლოდ აწმყო დროს: მათ ეკისრებოდათ სტატიკურობის, „მდგომარეობის“, არსებობის აღნიშვნა, რომლისათვისაც შესაფერი სწორედ აწმყო დროა.

6. აწმყოს მესამე პირში ეს აფიქსები (მებრ. -ქ, ქან. -რ) არ გვხვდება იმიტომ, რომ მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ზმნებს სუფიქსად მოუდიოდათ. ასევე აიხსნება მისი (-ქ-ს) არ ქონა მებრულში მრავლობითს რიცხვშიაც.

7. სრულს ანალოგიას ეს მოვლენა პოულობს ქართულშიაც. მებრულ-ქანურთან შესადარობის თვალსაზრისით საყურადღებოა რომ ახალ ქართულში მეშველი ზმნა (სწორედ I-სა და II პირში) უჩნდება საშუალო გვარის ზმნებს. ქართულშიც მის გამოყენებაში ამოსავალი უნდა ყოფილიყო სტატიკურობა. პირველად ის უნდა გასჩენოდა მდგომარეობის გამომხატველ ზმნებს: ვზი-ვარ, ვწე-ვარ, ვდგა-ვარ, და შემდეგ მივდი-ვარ, ვხტი-ვარ და სხვათ.

ქართულშიაც თანდათან ფართოვდება მისი გამოყენების არე, დიალექტებში გვხვდება: ვფიქრა-ვარ (გურ.), ვჩივი-ვარ (გურ.) და სხვა. ეს მიგვიჩვენებს იმ გზაზე, რაც ქანურსა და მებრულში გაუვლია ამ მოვლენას.

8. ზემო-სვანურს ამ მხრივ ძველი ქართულის მდგომარეობა დაუცავს. ქვემო-სვანურს კი მეშველი ზმნა გაუჩენია ჯერ საშუალო გვარის ზმნებთან (სკურ-ხტი ვზი-ვარ...) და აქედან, თუმცა მერყეობით, იგი თავს იჩენს ყველა ზმასთან (ტჩიხე-ხტი—ვარუნებ—ვარ.). ვფიქრობთ, ამ მხრივ სრული დამთხვევა უნდა გვექონდეს მებრულთან.

9. მეშველი ზმნა საშუალო გვარის ზმნებთან გაიჩინა ქართულმა, იგი გაიჩინა სვანურშიც კი. კანონზომიერად მოსალოდნელი

იყო ასეთივე ვითარება მეგრულშიც. მაგრამ არც მეგრულმა და არც ქანურმა ხსენებულ ზმნებს მეშველი ზმნა არ დაურთეს სწორედ მიტომ, რომ ამ ფუნქციით იქ ერთ შემთხვევაში იყო უკვე -ქ-, მეორეში—რ. უკეთ: მეგრულმა და ქანურმა მეშველი ზმნა აღარ დაურთეს ხსენებულ ზმნებს მიტომ, რომ მათ იგი უკვე დართული აღმოაჩნდათ.

10. ქანურ -რ სუფიქსი საფიქრებელია მეშველი ორ ენ(ნ) || რ ენ(ნ) ზმნის ნაშთი იყოს და ერთვოდეს ისე, როგორც აფხაზურში—მეშველი ზმნა—უბ. მეგრულშიაც უნდა ვიფიქროთ ერთვოდა იგივე მეშველი ზმნა, ოღონდ დადასტურებით ნაწილაკითურთ: ქ ო რ ე(ნ), რომელიც შემდეგ (ფუნქციის დაკარგვისთან ერთად) გაცვდა. ეს შესაძლებლობა რეალური ჩანს მიტომაც, რომ მეგრულში შეუდარებელივ უფრო ვრცელი გამოყენება აქვს დადასტურების წინდებულს—ქო-ს—ვიღრე ქანურში.

3ლ. ფანჯიქი

მორფოლოგიური შემხედრები უღური ენისა ქართულთან (resp. ქართველურ ენებთან)

I. სხვა კავკასიური ენების მსგავსად უღური ენაც გვიჩვენებს ისეთ მორფოლოგიურ მოვლენებს, რომელთა პარალელები დასტურდება ქართულ ენაში (resp. ქართველურ ენებში).

რამდენადაც ენათა ნათესაობრივი ურთიერთობის გარკვევისათვის ძირითადია მორფოლოგიურ ელემენტთა შედარება, ამდენად უღურის შეხედრებს ქართველურთან მნიშვნელობა აქვს კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემისათვის.

II. შეხედრები უღური ენისა ქართულთან (resp. ქართველურთან) გვაქვს როგორც სტრუქტურული ხასიათისა (აგებულების მიხედვით), ისე, რამდენადაც ამჟამად შეიძლება ვივარაუდოთ, გენეტური ხასიათისაც.

შედარებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა, ცხადია, გენეტური შეხედრები, მაგრამ საყურადღებოა საერთო ელემენტების გამოვლენა. აგებულების მიხედვითაც, რამდენადაც აქ გვეძლევა მითითება ერთგვარ ენობრივ აზროვნებაზე დასახელებულ ენებში.

III. სტრუქტურული ხასიათის შეხედრები შესაძლებელია შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

A. სახელმწიფი:

1. უღურ ენაში ქართველურ ენათა მსგავსად გვაქვს ერთი ბრუნება, ბრუნვის ნიშანთა ნაირსახეობა კი აიხსნება ფონეტიკური პროცესებით.

2. მრავლობითი რიცხვი უღურში იწარმოება აგლუტინაციის პრინციპით: მრავლობითის საკუთარ აფიქსებს დაერთვის მხოლოდ ბითში გამოვლენილი ბრუნვის ნიშნები.

3. უღურში დადასტურებულია მოთხრობითი ბრუნვა (resp. ერგატივი) ისეთივე ფუნქციით, როგორც მას აქვს ქართულში (აღნიშნავს სუბიექტს გარდამავალ ზმნასთან), ოღონდ იგი თანაბრად იხმარება ყველა დრო-კილოს ფორმასთან (მსგავსად ქანურისა).

4. მიცემითი ბრუნვა უღურში გამოხატავს როგორც ირიბ ობიექტს, ისე პირდაპირსაც. უღურის მკვლევართა მიერ აკუზატივად მიჩნეული ბრუნვა გენეტურად წარმოადგენს მიცემითს და ინდოევროპული აკუზატივისაგან პრინციპულად განსხვავდება: პირდაპირი ობიექტის გარდა გამოხატავს ირიბ ობიექტსაც. ამგვარად, ბრალდებითი გენეტურად ისევე უცხოა უღურისათვის, როგორც ქართველური ენებისთვისაც.

5. ჩვენებით ნაცვალსახელს უღურში აქვს დეტერმინანტი, რომელსაც იგი მოიკვეცს, თუ ის მსაზღვრელადაა გამოყენებული. ანალოგიური მოვლენა დადასტურებულია, მაგალ., მეგრულში (არნ. ჩიქობავა).

B. ზმნაში:

1. პირის ნიშანთა გამოხატვის თვალსაზრისით უღურში დასტურდება ქართული ინვერსიული ზმნების მსგავსად ისეთი ზმნები, რომელნიც რეალურ სუბიექტს მიცემითში მოითხოვენ და ამის შესაბამისად გამოავლენენ განსხვავებული პირის ნიშნებს სახელობით-მოთხრობითში წარმოდგენილი სუბიექტის ნიშნების საპირისპიროდ.

2. დრო-კილოთა ფუძის წარმოებაში უღურში შეინიშნება ქართულისათვის დამახასიათებელი პრინციპი: I ჯგუფში ფუძე გავრცობილია -ფხ ელემენტით (თითქოს იმავე რიგისა ჩანს, როგორცაა ქართული ენის თემის ნიშნები), II ჯგუფში წარმოდგენილია ამ -ფხ ელემენტით შეკვეცილი ფუძე, ხოლო III ჯგუფში გამოყენებულია მიმღობის ფუძე.

3. უღურში დადასტურებულია ნაწილაკოვანი კავშირებითი, რომელიც ზედმიწევნით ემთხვევა ძველი ქართულის -მცა ნაწილა-

კიან ნამყო წყვეტილს: უდურშიც -**ყ** ნაწილაკის დართვა I აორის-
ტის ფორმაზე ამ დროს გადააქცევს კავშირებითად.

4. ქართულის ანალოგიურია ბრძანებითის წარმოება უდურში.
ოლონდ იმ განსხვავებით, რომ უდურში ბრძანებითისათვის აღებულია
კავშირებითი I-ის ფორმა პირის ნიშანთა მოკვეციით.

5. გარდამავალი ზმნა უდურშიც განსხვავდება გარდაუვალი-
საგან იმით, რომ სუბიექტი მასთან გვევლინება მოთხრობით ბრუნ-
ვაში (*resp.* ერგატივში), ხოლო გარდაუვალთან კი—სახელობითში.

IV. ქართულთან (*resp.* ქართველურ ენებთან) გენეტური ურთი-
ერთობის ასახვა შესაძლებელია დავინახოთ უდური ენის შემდეგ
მორფოლოგიურ მოვლენებში:

A. სახელეზვი:

1. ნათესაობით ბრუნვაში უდურში დადასტურებულია -**ინ** სუ-
ფიქსი, რომელიც პარალელური უნდა იყოს ქართველურში ნავარა-
უდევრ -**ინ** სუფიქსისა (ვ. თოფური ა).

2. ისტორიულად მიცემითის ფორმანტი -**ახ** უდურში უნდა
შეესატყვისებოდეს ქართ. მიცემითის -**ხ** || ***ახ** ფორმანტს: ორივენი
უნდა მომდინარეობდნენ -**ახ** (რბილი -**ხ**, რომელსაც შეეძლო მოეცა
უდ. -**ხ**-ც და ქართ. -**ხ**-ც) ფორმანტისაგან.

3. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად გვაქვს -**უხ** და -**ურ**
სუფიქსი, რომელნიც ხვდებიან სვანურში ზმნის ფორმებში დადასტუ-
რებულ მრავლობითის -**ხ** სუფიქსსა და სახელთა -**არ** სუფიქსს.

4. ჩვენებით ნაცვალსახელებში (და პირთა ნაცვალსახელებ-
შიც) სახელობით ბრუნვაში უდურში დადასტურებულია -**ნე** დე-
ტერმინანტი, რომელიც ხვდება ქართველური ენების ნაცვალსა-
ხელებში გამაყოფილ -**ნა** ფორმანტს (არნ. ჩიქობავა).

5. ანალოგიურად ირიბ ბრუნვებში დასტურდება -**ტ** (←**ტე**)
დეტერმინანტი, რომელიც შესაძლოა შეეფუპირისპიროთ ქართულის
-**და**-ს: მა-**და** (—**მან**-**დ**) და ჰანურის -**თ**-ს (ხოფ. ა-ნ-**თ**-**ეფ**-**ე**).

6. კითხვით ნაცვალსახელებში (და საერთოდ ფრაზაში) უდურ-
ში გვაქვს კითხვითი ნაწილაკი -**ა**, რომელიც ფუნქციით და ფონე-
ტიკურად ხვდება ძველი ქართ. და კილოების კითხვით -**ა** ნაწილაკს.

B. ზმნაში:

1. უდურში გვაქვს მრავლობითის 3 პირში ფორმანტი -**ყუნ**
|| **ყო**, რომელიც ხვდება ქართ. -**ყე** ნაწილაკს.

2. უდურში დადასტურებულია აორისტ I-ში -**ი** სუფიქსი, ხოლო
აორისტ II-ში -**ე**; ორივე აფიქსი ხვდება ქართ. ნამყო წყვეტილის
-**ი** და -**ე** მაწარმოებლებს.

3. კავშირებით I-ს უდურში აწარმოებს -**ა** სუფიქსი, რომელიც
ხვდება ქართული კავშირებითის -**ა** მაწარმოებელს.

4. აწმყო-მყოფადის მძმეობას უდურში აწარმოებს -**ალ** სუფი-
ქსი, რომელიც ხვდება ქართ. სიტყვაწარმოების -**ალ** სუფიქსს სახე-
ლებში (სა-**მკ**-**ალ**-**ი**...).

5. უდურში ნაშთის სახით დადასტურებულია კაუზატივის
-**ვვ** || -**ვ** აფიქსი, რომელიც ხვდება ქართულ ამგვარსავე -**ვვ** ფორმანტს
ზმნაში (ასმ -**ვვ**-**ს**...) და -**ივ** ფორმანტს სახელში (ძლ -**ივ**...).

6. ზმნის საწყისს ფორმაში, რომელიც ნაწილობრივ ქართ.
მასდარის ფუნქციას გვიჩვენებს, დასტურდება სუფიქსი -**უნ**, რომე-
ლიც შესაძლებელია დაუკავშიროთ ქართულ -**უნ** ფორმანტს სიტყვა-
წარმოებაში (კაკ-**უნ**-**ი**...).

V. ზემოაღნიშნული შეხვედრები უდური ენისა ქართულ ენას-
თან (*resp.* ქართველურ ენებთან) დასაბუთებას პოულობენ სხვა კავ-
კასიურ ენათა მონაცემების მიხედვითაც.

ფონეტიკური შესატყვისობისა და საერთო ძირთა დადასტუ-
რებასთან ერთად ისინი მიუთითებენ ამ ენათა ახლო ნათესაურ
კავშირს.

ა. ჩიქობავა

ხუნძური ერგატივის ისტორია

(სხვა კავკასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენებთან ურთიერთობას ასპექტში)

1. ხუნძური ერგატივის ისტორიის გათვალისწინება გულის-
ხმობს შემდეგს კითხვებზე პასუხის გაცემას:

ა) პირდაპირია თუ ირიბი ეს ბრუნვა?
ბ) რა ადგილი უჭირავს მას ხუნძური ბრუნების სისტემაში
(მიმართება ნათესაობითთან, მიცემითთან)?

გ) რა აფიქსები გააჩნია ამ ბრუნვას და როგორი ისტორიუ-
ლი თანმიმდევრობით არიან ისინი წარმოქმნილი?

დ) რა კავშირია ხუნძურსა და სხვა კავკასიურ ენათა შორის
ერგატივის წარმოებისა და ფუნქციის მხრივ?

2. ხუნძურში ერგატივი წარმოიქმნა:

ა) ზოგად სახელებთან შედარებით ადამიანის სახელებში უფრო გვიან, — ამას მოწმობს საკუთარ სახელთა ერგატივი გამოყენებული აფიქსი.

ბ) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში — ყველაზე გვიან: დადასტურებულია „მე“, „შენ“ — ნაცვალსახელთა ერგატივის ნაცვალად სახელობითის ხმარება ხუნძურ დიალექტებში: ჰი დის მეტყველებაში — სპორადულად, კეჰერისაში — სისტემატურად.

ხუნძური ერგატივი ფუნქციონალურად ეკედლება სახელობითს; ის არსებითად იმავე რიგის ბრუნვა ჩანს, როგორცაა ქართული მოთხრობითი.

ამდენად მოხსნილად უნდა ჩაითვალოს ის დიდი სხვაობა, რომელიც ამ მხრივ ქართულსა და ხუნძურში, ერთის შეხედვით, წარმოჩნდება.

3. ერგატივის აფიქსებია ხურძურში:

-ს -ლ'ა ცა -ლ||-დი -ზ.

მათი გამოყენების არე ერთნაირი არაა:

სხვაობა ჩანს რიცხვთა მიხედვით, სახელთა ჯგუფების მიხედვით, დიალექტობრივ წრეთა მიხედვით, — აგრეთვე სხვა ბრუნვებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც (გადაჰყვება ან არ გადაჰყვება ნათესაობითში...).

4. -ზ ამჟამად მხოლოდ მრავლობითში გვაქვს, ისიც სამხრულ კილოებში (ჰიდურში, ანდალალურში, ანწუხურსა და ქარულში).

აქედანვეა შესული თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში: ქცეულია სალიტერატურო ნორმად.

იხმარება ყველა კლასის სახელთან; გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში (ყოველთვის):

შდრ. სახ. ვაც-ალ „ძმები“	ვაც-ალ „დები“	ჩუ-ა-ალ „ცხენები“
ერგ. ვაც-ა-ზ	ვაც-ა-ზ	ჩუ-ა-ა-ზ
ნათ. ვაც-ა-ზ-ულ	ვაც-ა-ზ-ულ	ჩუ-ა-ა-ზ-ულ
მიც. ვაც-ა-ზ-ე	ვაც-ა-ზ-ე	ჩუ-ა-ა-ზ-ე

5. -ს და -ლ'ა მართოდენ მხოლოდობითს რიცხვში იხმარება. -ს გვხვდება მხოლოდ I გრამატიკული კლასის ზოგად სახელებთან, ყველა ხუნძურ კილოში, — ჩრდილოურშიცა და სამხრულშიც, თანაბრად.

ლ'ა — II და III გრამატიკულ კლასებშია წარმოდგენილი, მასთან გარკვეული ტენდენცია ჩანს -ლ'ა — ფლექსიის გამოყენება გაცრცელდეს მესამე კლასის სახელებში — ცა ფლექსიის ხარჯზე

-ს ერთ-ერთი უძველესი ნიშანია ერგატივისა ხუნძურში. მას სხვა ენებშიც ვპოვებთ (კერძოდ, ჩაჩურის ჯგუფის ენებში).

-ს და -ლ'ა ფლექსიები გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში:

სახ. ვაც „ძმა“	ვაც „და“	ჩუ „ცხენი“
ერგ. ვაც-ა-ს	ვაც-ა-ლ'ა	ჩუ-ა-ა-ლ'ა
ნათ. ვაც-ა-ს-ულ	ვაც-ა-ლ'ა-ულ	ჩუ-ა-ა-ლ'ა-ულ
მიც. ვაც-ა-ს-ე	ვაც-ა-ლ'ა-ე	ჩუ-ა-ა-ლ'ა-ე

6. -ცა სუფიქსი ჩრდილო-ხუნძურის კუთვნილებაა, — სამხრული კილოებისათვის იგი უცხოა.

იხმარება მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც, III კლასის სახელებთან, ადამიანის სახელებთან (სქესთა მიუხედავად), I და II პ. და ზოგ სხვა ნაცვალსახელებთან.

ადამიანის სახელებთან -ცა აფიქსი მეორეულია: ისტორიულად იგი მხოლოდ III კლასის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

მეორეულია -ცა-ს გამოყენება მრავლობითშიც:

აქ მას -ზ აფიქსი უსწრებდა, -ზ-ს ადგილასაა დამკვიდრებული.

-ცა არ გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში.

სახ. ჩუ „ცხენი“	ჩუ-ა-ალ „ცხენები“
ერგ. ჩო-ცა	ჩუ-ა-ა-ცა
ნათ. ჩო-ლ	ჩუ-ა-ა-ზ-ულ
მიც. ჩო-ა-ე	ჩუ-ა-ა-ზ-ე

7. -ლ || -დი აფიქსი სამხრულ დიალექტებშია გამოყენებული, არსებითად ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ჩრდილოურ ხუნძურში -ცა გვაქვს. ისტორიულად იგიც ცა-ს მსგავსად III გრამატიკული კლასის კუთვნილებაა.

-ლ || -დი მეტ წილ შემთხვევაში არ გადაჰყვება ნათესაობითში, ზოგ შემთხვევაში — შეიძლება გადაჰყვეს.

შდრ. სახ. ბაყ „მზე“	ჩუ „ცხენი“
ერგ. ბუყ-უ-ლ	ჩო-ლ
ნათ. ბუყ-ულ	ჩო-ლ-ულ
მიც. ბუყ-უ-ა-ე	ჩო-ლ-ე

8. III გრამატიკული კლასის ორი აფიქსიდან—ცა, -დ—ცა მეორეულია არა მხოლოდ მრავლობითში (იხ. § 6), არამედ მხოლოდშიც:

ისტორიულად III კლ. სახელებს მხოლოდითში -დ(//დი) სუფიქსი უნდა გვქონოდა ჩრდილო-ხუნძურშიც. ამას მოწმობს:

ა) დ სუფიქსის შემონახვის შემთხვევები ჩრდილო ხუნძურში ერგატივისაგან ნაწარმოებ ბრუნვაში (მაგ. ნათესაობითში), სწორედ იქ, სადაც სამხრულ კილოებში -დ გადაჰყვება.

ჩუ „ცხენი“: ერგ. ჩო-ცა—ნათ. ჩო-დ-ულ || ჩო-ლ;
ბი „სიხხლი“: ერგ. ბი-ძალა—ნათ. ბი-დ-ულ || ბი-ძალა-ულ...

ბ) -დი სუფიქსის (-დი || ტი)—დადასტურება ანდიურში, რომელიც ჩრდილო-ხუნძურს ეკვრის ტერიტორიულად (სამხრულ კილოებთან კი კონტაქტი არა აქვს).

მასთან აღსანიშნავია, რომ ანდიურში ხუნძური -ხ და ლა აფიქსებიც დაჩნდება.

9. -დ-სუფიქსი და მისი ფონეტიკური ვარიანტები—ანდიურისა და ანდიის ხეობის დიალექტებს გარდა—დასტურდება დალისტნის ისეთ ძირითად ენებში, როგორცაა:

კიურული: აქ ერგატივის აფიქსებია -დი, -ნი, -რ(ა)...
დარგულული: -ლი, რაიც—დი || ნი-ს ფონეტიკურ სახესხვაობად უნდა ვცნოთ.

აღსანიშნავია, რომ ამ ენებში ერგატ. -დი...-ლი გადაყვება ნათესაობითში, მასთან მათი ხმარება III კლასის სახელებით არ შემოიფარგლება.

10. დალისტნის ერთს უძველეს ენას, ლაკურს, ერგატივი არ გააჩნია, მაგრამ ნათესაობითის დაბოლოების წინ არა იშვიათად შეიმჩნევა უფუნქციო -ნ, -ლ, -დ, -ტ.

დუშ „ქალიშვილი“	ნათ. დუშ-ნ-ილ
ვიფ „ჯიბე“	„ ეიბ-ლილ
კილი „უნაგირი“	„ კილ-დ-ულ
კამა „პეშვი“	„ კუნ-ტ-ულ

საფიქრებელია, რომ ლაკურის ეს აფიქსები ნ დ ლ (|| → ტ) იგივე იყოს, რაც ხუნძურსა, კიურულსა და დარგულულში დადასტურებული აფიქსი ერგატივისა (დ-ს ფონეტიკური ვარიანტები); აქედან კი გამომდინარეობს:

ა) ჩვენთვის საინტერესო აფიქსის ისტორიული გავრცელების არეში ლაკურიც შემოდის;

ბ) და, რაც მთავარია: ისტორიულად ლაკურსაც ჰქონია ერგატივი; მისი მოშლა ბრუნვათა სისტემაში მეორეულია.

11. -დ სუფიქსი დასტურდება ქართველურ ენებშიც:

სვანურის ერგატივის (მოთხრობითის) ორი საწარმოებელი აფიქსიდან ძირითადი—ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით—სწორედ -დ არის:

დნა-დ „ქალიშვილმა“... კწსარ-დ „კეისარმა“, „მეფემ“... აღმ-არ-დ „ამათ“...

დ აწარმოებს სვანურში მიმართულებითსაც.

ქართ. ვი-ნ და მა-ნ სახელებში დადასტურებული -ნ აფიქსიც სხვა არაფერია, თუ არ ამ -დ-ს ფონეტიკური ვარიანტი.

12. -დ სუფიქსი აკავშირებს არა მხოლოდ ქართველური ენებისა და დალისტნის ენათა მორფოლოგიურ სისტემას, მას აწინდელ კავკასიურ ენათა წრეს იქითაც გავყავართ:

თუ მართალია ურარტულის მკვლევართა მოსაზრება (ი. ფ რ ი-დ რ ი ხ ი, ნ. მ ა რ ი, ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი), რომ ამ ენაში გამოიყოფოდა მიმართულებითი ბრუნვა -ედი- || -დი- აფიქსის მქონე, უნდა ვცნოთ მისი იგივეობა ჩვენთვის საინტერესო -დ || -ლა აფიქსთან.

3. თოფურია

ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული პარალელები

1. მკვლევართა მიერ წამოყენებული დებულება ქართველურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ დამტკიცებულად ითვლება. ეს ნათესაობა გამოვლინებულია როგორც ლექსიკაში, ისე ამ ენათა გრამატიკულ სტრუქტურაში. ამ მხრივ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ფაქტებს შეიძლება დაემატოს ახალი მასალები.

2. ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული შეხვედრები შედარებით მცირეა (რაც ლაკურის თავისებურებით აიხსნება), მაგრამ მათ გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭებდათ ამ ენათა ურთიერთობის სარკვევად.

3. ლექსიკური შეხვედრებიდან, ცხადია, მხედველობაში არ მიიღება საერთო წყაროდან (არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან...) წარმომდინარე სიტყვები, როგორცაა, მაგ., ლაკ. არაფა და მეგრ. არაბა 'ურემი', ლაკ. თთუფ 'ზარბაზანი, თოფი' და ქართ. თოფი და სხვა; არც ქართულიდან შესული სიტყვები—ლაკურში, როგორცაა: „ჭჭჭ ვრაყი“... საერთო სიტყვები ლაკურსა და ქართველურს შორის.

ლურ ენებში შეიძლება მოინახოს რამდენიმე ათეული (მაგ. ლალა 'ლაპარაკი'—ქან. ო-ლარლალ-უ და სვან. გარგალა; ლაკ. ცულ-უნ და ქართ. ცელ-ვა; ქქურქქი 'მრგვალი' და ქართ. გრგვალი და სხვა), ოღონდ საერთო სიტყვების მიხედვით ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება ფონეტიკურ შესატყვისობაზე ლაპარაკი. ეგვეე სიტყვები გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც. ეს მოვლენა კი თავისებურ შეფასებას საჭიროებს.

4. ბგერითი შედგენილობიდან შეხვედრები გვაქვს ლაკურსა და ინგილოურ დიალექტში: ორივეში ძ და ჯ უგულებელყოფილია. მათ ნაცვლად ზ და ჟ ს ხმარება უნდა აიხსნას იმით, რომ ეს ბგერები ვერ განვითარდნენ აფრიკატ ძ და ჯ'დ.

5. გრამატიკული აღნაგობიდან პარალელები შეიმჩნევა სახელთა ბრუნებაში, ჩვენებით ნაცვალსახელთა შედგენილობაში და ზნათა უღვლილებაში.

გ. როგავა

კუთვნილებითი აფიქსი „ი“ ზმინსა და სახელის მოკვლადობური კატეგორიებში

1. ქართველური ენების ზმნებში გვაქვს ორი ქცევა სათანადო აფიქსით გამოხატული: სათავისო და სასხვისო.

2. როგორც სათავისოს, ისე სასხვისოს აფიქსი ი ერთიანი წარმოშობისა უნდა იყოს. მეორეულ მოვლენად ჩანს მნიშვნელობის დიფერენციაცია (სუბიექტისათვის ან ირიბი ობიექტისათვის განკუთვნილი მოქმედება).

3. უ პრეფიქსი სასხვისოს ფორმაში არ უნდა ჩაითვალოს ქცევის მაწარმოებლად.

4. ქცევის აფიქსი ი უნდა იყოს პრონომინალური წარმოშობისა: სახელდობრ, იგი უნდა მომდინარეობდეს კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან. ვ-ი-კეთებ ჩემთვის („მე“-სათვის) ან ჩემსას ვაკეთებ, მ-ი-კეთებს ჩემთვის („მე“-სათვის) ან ჩემსას აკეთებს.

5. აღიღებურ ენებში ასეთივე კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოდის ქართველური ენების სასხვისო ქცევის ფუნქციონალურ შესატყვისად გარდაუვალ ზმნებთან, მაგ., -ს-ი-ყა-ს, 'ვაქვს', სიტყვა-სიტყვით: „მე-ი“ არის, უ-ი-ყ-ა-ს, 'ვაქვს' ანუ, შენი არის, იყა-ს, 'მას აქვს', ე. ი. მისი არის. (შდრ. მეგრული ზმნა—მ-ი-ლუ, გ-ი-ლუ, უ-ლუ).

6. ეგვეე „ი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელი უნდა ემთხვეოდეს ქართველური ენების სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ი-ს || ი-თ აფიქსთა ი-ელემენტს, ნათესაობითის ი-ხ აფიქსის ხ ელემენტი კი მიცემითის ხ აფიქსი უნდა იყოს.

7. აღიღებურ ენებშიც ნათესაობითი და მიცემითი ერთი დამავე აფიქსით (მ სუფიქსით) არის წარმოდგენილი. ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობას მ სუფიქსიან სახელს აძლევს კუთვნილებითი ნაცვალსახელის დართვა. მაგალითად,

მიცემითში:

წჭჭ-მ რ-ი-თელ 'კაცს მისცა',

ნათესაობითში:

წჭჭ-მ ი-უნა 'კაცის სახლი'.

8. კუთვნილებითი აფიქსი ი (მომდინარე კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან) უნდა გვქონდეს ნაცვალსახელებში შენ-ი, თქვენ-ი, ჩვენ-ი (შდრ. პიროვნებითი ნაცვალსახელები შენ, თქვენ, ჩვენ).

Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

К ВОПРОСУ О КУЛЬТУРНЫХ СВЯЗЯХ ГРУЗИИ И ИНГУШЕТИИ

1. Значение архитектурных сооружений Ингушетии для вопроса о культурных связях с Грузией.

2. Развалины христианского храма в Тхоба-ерди, как один из таких памятников, и его строительные пласты.

3. Связь отдельных строительных периодов в Тхоба-ерди с архитектурой Грузии.

Б. А. КУФТИН

К ВОПРОСУ О ДРЕВНЕЙШИХ КОРНЯХ ГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ НА КАВКАЗЕ ПО ДАННЫМ АРХЕОЛОГИИ

1. Вопрос о древнейших корнях грузинской культуры может рассматриваться с трех сторон:

а) по историческим связям грузинских племен с одноименными народами древнего мира античных авторов, библии и клинописных источников.

б) по лингвистическому родству картвельских языков, в кругу других кавказских, с вымершими письменными языками Передней Азии и, наконец,

ვ) по участию в истории сложения и оформления грузинской культуры на Кавказе оронимических факторов.

2. Правомочность археологии вносить свою долю в решение вопросов национальной истории покоится на точной географической локализации археологических фактов и на возможности их хронологических определений.

3. Хронологическая интерпретация ряда археологических находок на территории Грузии устанавливает участие ее в III тыс. до н. э. в общей культурной жизни с древнейшими очагами переднеазиатской оседлости и металлургии.

4. Стратиграфическое изучение абхазских дольменов и распространение трубчато-и вислообушных топоров вскрывают культурное значение территории Западной Грузии в эпоху средней бронзы.

5. Культурный очаг Триалети в эпоху крупных государственных образований на территории Передней Азии в середине II тыс. до н. э. является расцветом местных неолитических культур и культуры расписной керамики Южного Кавказа.

6. Культура поздней бронзы на Южном Кавказе отражает национально-политическую дифференциацию картвельских племен в эпоху урартского царства на озере Ван.

7. Изучение местных культурных традиций, обнаруживаемых археологией, не только не становится в разрез с двумя вышеуказанными направлениями поисков древнейших корней грузинской культуры, но напротив углубляет их, поскольку территория, ныне заселенная грузинскими племенами, искони являлась частью древне-восточного культурного мира с общим для него культурно-историческим и языково-этническим субстратом.

სტ. მენთაუაშვილი

ქველანაგისა და ყოლოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის

1. ე. წ. ალბანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთების თარიღი (1—0—1 საუკუნეები—პახო-

მოვისა და პროფ. გ. ნიორაძის მიხედვით), ახლად შობილი მასალების თანახმად, უნდა გადაიწიოს V საუკუნემდის ძვ. წ.-აღ. და XIII საუკუნემდის ახ. წ.-აღ.

2. ამ კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობის შესახებ ვაკვრით გამოთქმული აზრი მათი ალბანელობის შესახებ (შარტიფოვი, იესენი, პროფ. გ. ნიორაძე) დაზუსტებას მოითხოვს:

ეს, ე. წ. ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელიც აღნიშნული კულტურის მატარებელი იყო, ძველი კამბეჩოვანელები (ქართველები) არიან (სტრაბონი, პლინიუსი, პლუტარხი, დიონ კასიოსი).

3. ძველი კამბეჩოვანი წარმოადგენს იბერიისა, ალბანეთისა და სომხეთის მოსახლვრე თემს, რომელიც შეიცავს ტერიტორიას მტკვრის ჩრდილოეთით ყარაიას ველის ქვემოდან მოკიდებული იბერიისა და ალზნის ქვემო მდინარეების აუზებს (სტრაბონი, პლინიუსი, პლუტარხი და სხვ. სომხური ანონიმური გეოგრაფია).

4. ძველი კამბეჩოვანის პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი და ადმინისტრაციული ციხე-სიმაგრე, სადაც შესაძლებელი იყო ერთმანეთს შეხვედროდნენ იბერიელები, ალბანელები და სომხები (სტრაბონი), ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი უნდა იყოს, რომელიც მდებარეობს დღევანდელი წითელწყაროს (დედოფლის წყაროს) აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით და ყარაღაჯის სამხრეთით (ვახუშტი) და რომელსაც ახლა „თამარის ციხეს“ ეძახიან, ხოლო ადგილს—ქუეთს (ქოეთი ვახუშტით).

5. კამბეჩოვანის (ხორნაბუჯის ირგვლივ მდებარე) არემარის გაუკაცრიელება მონგოლთა შემოსევის შედეგია, რასაც მოჰყვა ხორნაბუჯის დაცემა, ხოლო ყარაღაჯის, როგორც ხანების საჯდომის, გაძლიერება.

6. ახლანდელი ქიზიყის სოფლური მეზობლობისა და მინდვრის მომიჯნავეობის არათანამიმდევრულობა გამოწვეულია მონგოლთა შემოსევის შედეგად მოსახლეობის ველოვანი ადგილებიდან აყრითა და მთაგორიანი ადგილებისაკენ, ჩრდილო-დასავლეთით გადასახლებითა და მოსახლეობის შეჯგუფებით.

7. ზოგიერთი უკაცრიელი ადგილის სახელწოდება (ძველანაგა, ვანანი, ყოლოთო, იფანიანი და სხვ.), რომელთა მოსახლე სოფლები (ანაგა, ყოლანთო, ფანიანი) დღესაც არსებობს, ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ სოფლები მართლაც აყრილა და გადახვეწილა შორს დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ, შედარებით უფრო მყუდრო ალაგას.

აღმოსავლეთის ჩინესანის და ფაშისტური მაცნეობა

1. რენესანსის პრობლემა—ბურჟუაზიულ მეცნიერებაში დღემდე გადაუჭრელია და მის ირგვლივ აზრთა სხვაობა სოციალ-კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღრმავების უშუალო უკუფენას წარმოადგენს; აღნიშნულ საკითხში სადღეისოდ ერთიმეორეს უპირისპირდება მარქსისტულ და ბურჟუაზიულ მეცნიერებათა პოზიცია. უკანასკნელი ორ ფრთას შეიცავს: ბურჟუაზიულ-სქოლასტიკურს და ფაშისტურს.

2. რენესანსის ბურჟუაზიულ-ფაშისტურ კონცეფციას ახასიათებს ორგვარი წარმოდგენა ანტიკისა და რენესანსის ურთიერთობაზე: ერთ შემთხვევაში საშუალო საუკუნეები განვითარების წყვეტია, ხოლო მეორეში—წყვეტი არაა, მაგრამ არც რენესანსს ჰქონია ადგილი, როგორც რევოლუციურ გადატეხას.

მარქსისტული კონცეფციით საშუალო საუკუნეები არაა განვითარების წყვეტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რენესანსი, როგორც რევოლუციური გადატეხა, ფაქტია; ამიტომაც მარქსისტული გაგება რენესანსისა შეურიგებელ წინააღმდეგობაშია ბურჟუაზიულ-ფაშისტური გაგების მიმართ.

3. ბურჟუაზიულ-ფაშისტური გაგება რენესანსისა „ევროპო-ცენტრისტულია“, ე. ი., იგი აღიარებს რენესანსის მხოლოდ ევროპულ ძირებს. ეს ცალმხრივი შეხედულება ფაშისტურმა მეცნიერებამ უკიდურესობამდე მიიყვანა და დასავლეთ-ევროპულის ცნება „ჩრდილო-ევროპულის“ კულტურის ცნებით შესცვალა. ეს შეხედულება ემყარება მთელ რიგ მცდარ დებულებებს და სავსებით ანტიმეცნიერულია.

დასავლეთის ზოგიერთი მეცნიერი იძულებულია რამდენიმედ აღიაროს აღმოსავლური ძირები ევროპის რენესანსისა (შტაინი, შულცე, კასირერი და სხვ.).

4. მარქსისტული კონცეფცია რენესანსისა შეიცავს გარკვეულ მითითებებს უკანასკნელის აღმოსავლურ ძირებზე; ეს მითითება ეხება როგორც „ტექნიკურ აღმოჩენებს“, რომლებიც აღმოსავლეთიდან შედიოდა ევროპაში, ისე იდეოლოგიურ გავლენათა გზებს.

უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამხრეთ იტალიაზე მითითება, როგორც „მუსლიმანური ლიბერალიზმის“ გადანერგვის წერტილზე.

5. მარქსისტული დებულება ერეტიკული მისტიციზმის, როგორც „რევოლუციური ოპოზიციის“ შესახებ, სახელმძღვანელო-აღმოსავლეთიდან დაწყებულ და დასავლეთში გავრცელებულ მასობრივ-კლასობრივ მოძრაობათა და იდეოლოგიური გავლენისათვისაც; კერძოდ, სამხრეთ-იტალიის საკითხი სანიმუშოა დასავლეთის რენესანსის აღმოსავლური ძირების მარქსისტული გაგების დასაპირისპირებლად ფაშისტურისათვის.

6. საქალაქო ცხოვრებისა და „ტექნიკურ აღმოჩენათა“ აღრინდელმა განვითარებამ და ანტიკური მემკვიდრეობის უწყვეტმა წინსვლამ (ძეგლების დაცვივ) შესაძლებელი გახადა პრერენესანსის და რენესანსის აღმოსავლეთში დაწყება. ერეტიკული მისტიციზმი უშუალოდ განვითარდა ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელი დაფორმების (პროკლეს) ნიადაგზე და იმ ადამიანის მიერ, რომელიც დაიმაღლ დიონისე არეოპაგელის სახელის ქვეშ, ოპოზიციურ სოფლ-გაგებად გაიშალა.

მანიქველობის ნაკადი აღმოსავლური სოფლგაგებისა გადამუშავებულ იქნა ერეტიკული მისტიციზმის ნიადაგზე და გადაიქცა იდეოლოგიად სოციალურ მოძრაობათა, რომელთა სათავე არის სამხრეთი, ხოლო გავრცელების არე—აღმოსავლეთში: თურქესტანი, აზერბაიჯანი და საქართველო. „რევოლუციური ოპოზიციის“ სოციალ-კლასობრივ ბაზას აღმოსავლეთში წარმოადგენენ: „ქალამნიანები“ სომხეთში, ბაბეკოლები—აზერბაიჯანში და „წურილი ერი“ საქართველოში (IX—XI საუკ.). ამის ნიადაგზე იშლება ის ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, რომელიც აღმოსავლეთის რენესანსის სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენს. ამ მოძრაობათა ბიზანტიელების მიერ აღმოსავლეთში ვერჩაქრობა იწვევს მათ გადასვლას ბიზანტიაში, შემდეგ სამხრეთ იტალიაში და იქედან დასავლეთში. ეს მოძრაობა ვრცელდება ერეტიკული მისტიციზმის დროშის ქვეშ, რომელიც იმავე გზებს მიყვება.

7. აღნიშნულ სოციალ-იდეოლოგიურ გზებს მიყვება ლიტერატურული რენესანსი, რომელიც ადვილად გადადის კურტუაზიულ-პანეგირიკული ჟანრიდან რენესანსის ჟანრებზე. აღმოსავლეთის რენესანსი იწყება სომხეთში (გრიგოლ ნარეკაცი), გრძელდება აზერბაიჯანში (ნიზამი) და მთავრდება საქართველოში (რუსთაველი).

8. საწინააღმდეგოდ ფაშისტური ყალბი კონცეფციისა საშუალო საუკუნეების მიწურულში დასავლეთი ევროპა არა თუ თვითონ უყრის საფუძვლებს რენესანსს, არამედ ებრძვის რენესანსს, რომელიც აღმოსავლეთიდან ევროპის ფეოდალიზმს ემუქრებოდა. ე. წ.

„ჯვაროსანთა ომებზე“ ისტორიული აზრი ასეთს ბრძოლაში მდგომარეობდა, მაგრამ აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასულმა რენესანსის ტალღამ დაამსხვრია XI—XII საუკუნის „ჯვაროსანთა ომები“. ასევე დამარცხდებიან XX საუკუნის „ჯვაროსანთა“ ურობები იმავე აღმოსავლეთიდან მომდინარე დიადი რენესანსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

